

THE CAUCASUS

BETWEEN EAST AND WEST, II

Historical and Philological Studies in Honour of **Zaza Aleksidze**

კავკასია

ადმონავლეთსა და დასავლეთს შორის, II

ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი

მიძღვნა ზაზა ალექსიძის დაბადების 85 წლისთავისადმი

რედაქტორი **დალი ჩიტუნაშვილი**

საგამომცემლო ჯგუფი **ნიკოლოზ ალექსიძე**
ხათუნა გაფრინდაშვილი
ნათია დუნდუა
ირმა ხოსიტაშვილი

დაკაბადონება/ყდის დიზაინი **ვლადიმერ პერანიძე**

Editor **Dali Chitunashvili**

Editorial team **Nikoloz Aleksidze**
Khatuna Gaprindashvili
Natia Dundua
Irma Khositashvili

Text layout/Book cover design **Vladimer Peranidze**

ISBN 978-9941-9730-7-9

© კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2021

DAREJAN GOGASHVILI, DALI CHITUNASHVILI
კალკოსის სახარება / The Kalkosi Gospel 508

ზაზა სხირტლადე, გიორგი ბაბრატონი /
ZAZA SKHIRTLDZE, GIORGI BAGRATIONI
ფარნაკის ციხის ეკლესია / The Church of the Parnaki Fortress 521

VII საზოგადოებათმცოდნეობა

Social Sciences

როინ მეტრეველი / ROIN METREVELI
აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ერთი საკითხი /
One Issue of Confrontation Between the East and West..... 545

ვლადიმერ პაპავა / VLADIMER PAPAUA
„ცენტრალური კავკასიიდან“ – „ცენტრალურ კავკაზიამდე“ /
From the “Central Caucasus” to the “Central Caucaso-Asia” 560

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ცენტრალური კავკასიიდან“ – „ცენტრალურ კავკაზიამდე“ (გეოპოლიტიკური განზომილებები)

კავკასია გეოპოლიტიკურად მსოფლიოს ერთ-ერთი ურთულესი რეგიონია. როგორც ცნობილია, გეოგრაფიულად მიჩნეულია, რომ ეს ტერიტორია მდებარეობს ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, ცენტრალურ აზიასა და რუსეთის სფეროს შორის.¹

თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში „კავკასიის“ ცნება ჩამოყალიბდა რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ.² მართლაც, კავკასიაში რუსეთის შემოსვლით იკვეთება ორი ტერმინი „ამიერკავკასია“ («Закавказье»)³ და „ჩრდილოეთ კავკასია“. პირველი გულისხმობს ტერიტორიას კავკასიონის ქედს გადაღმა, ხოლო მეორე – ტერიტორია კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით. საყურადღებოა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ თეირანისათვის, მოსკოვისგან განსხვავებით, „ამიერკავკასია“ კავკასიონს გადაღმა კი არა, გადმოღმა, სპარსულ ენაზეც ამ რეგიონს „კავკასიონის გაღმა“ ეწოდება (*maveran-e kaffkas*).⁴ მოცემული რეგიონის იდენტიფიცირების მიმართ სწორედ რუსულმა ტრადიციამ იქონია საერთაშორისო პრაქტიკაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კავკასია თანამედროვე რუსეთის ნაწილია და მასში შედიან რუსეთის ფედერაციის სუბიექტები: კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეები, ასტრახანისა და როსტოვის ოლქები, ყალმუხეთის რესპუბლიკა, ადიღეს, დაღესტნის, ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიის და ჩეჩნეთის რესპუბლიკები.

ანგარიშგასანევია ის გარემოებაც, რომ კავკასიის სამხრეთ საზღვრების განმარტებას, როგორც ნესი, განაპირობებდა ის, თუ სად გადიოდა კავკასიის რეგიონში რუსეთის იმპერიის სამხრეთი სახელმწიფო საზღვრები.⁵ კავკასიის

¹ მაგალითად, Lewis – Wigen, *The Myth of Continents*, p. 203.

² Breyfogle, *Heretics and Colonizers*; Jersild, *Orientalism and Empire*.

³ მაგალითად, გამყრელიძე, „ტრანსკავკასია“ თუ; King, *The Ghost of Freedom*, p. xiii; Гамк्रेлидзе, «Закавказье» или.

⁴ მაგალითად, გაჩეჩილაძე, *ახლო აღმოსავლეთი*, გვ. 17.

⁵ ისმაილოვი – პაპავა, *ცენტრალური კავკასია*, გვ. 34-35; Ismailov – Papava, *The Central Caucasus*, p. 10; Ismailov – Papava, *A New Concept*; Исмаилов – Папавы, *Центральный Кавказ*, с. 17-18.

სამხრეთ საზღვრების განსაზღვრის რუსული იმპერიული ტრადიცია საბჭოთა პერიოდშიც უცვლელი დარჩა. ამიტომ ამიერკავკასიის შემადგენლობა მკაცრად შემოიფარგლა სამი მოკავშირე რესპუბლიკით. კერძოდ, ესენია აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონს, რომელიც სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს აერთიანებდა, როგორც წესი, შეეცვალა დასახელება და „ამიერკავკასიის“ ნაცვლად „სამხრეთ კავკასია“ ეწოდება.¹ გამონაკლისს შეადგენს თავად რუსეთი, რომელიც ამ გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ სივრცეს კვლავ „ამიერკავკასიის“ სახელით მოიხსენიებს.² ამასთან ერთად აუცილებლად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ოფიციალურ ინგლისურენოვან დოკუმენტებში ტერმინი „ამიერკავკასიის“ ნაცვლად, როგორც წესი, ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ გამოიყენება.

ამ ტერმინოლოგიური ცვლილების მიუხედავად, ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ ტერმინ „ამიერკავკასიის“ მსგავსად მაინც ორიენტირებულია მოცემული რეგიონის რუსულ გეოპოლიტიკურ ხედვაზე, რამეთუ ორივე ტერმინი – „ჩრდილოეთ კავკასია“ და „სამხრეთ კავკასია“ აფიქსირებს რუსეთის დღევანდელ და ყოფილ საზღვრებს კავკასიაში.³

2002 წელს ელდარ ისმაილოვის მიერ წამოყენებულ იქნა „კავკასიის“ ახალი გეოპოლიტიკური კონცეპცია,⁴ რომლის თანახმადაც ტერმინი „კავკასია“, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის და რუსეთის ზემოჩამოთვლილი ჩრდილო კავკასიური რეგიონების გარდა, ასევე მოიცავს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებს (ვილაიეთები – აგრი, არდაგანი, ართვინი, ვანი, იგდირი და ყარსი) და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოლქებს (ოსტანები – აღმოსავლეთ აზერბაიჯანი, არდებილი, გილანი, ზანჯანი, ყაზვინი, ჰამადანი და დასავლეთ აზერბაიჯანი). ეს კონცეპცია ეფუძნება იმ ობიექტურ გარემოებას, რომლის თანახმადაც თურქეთისა და ირანის მოცემულ ოლქებში ისტორიულად კავკასიელი ხალხები ცხოვრობენ, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში იმავე ეთნოკულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ არეალში იმყოფებოდნენ, რომელშიც კავკასიის დანარჩენი ხალხები. საკმაოდ მარტივი ლოგიკის თანახმად, ხსენებულიდან გამომდინარე მართებულია, რომ თურქეთისა და ირანის ეს ოლქები ამ ქვეყნების ისეთივე „კავკასიურ“ რეგიონებად მივიჩნიოთ, როგორცაა ჩრდილოეთ კავკასიად წოდებული რუსეთის კავკასიის რეგიონი.

¹ გამყრელიძე, „ტრანსკავკასია“ თუ; გამკრელიძე, «Закавказье» или.

² მაგალითად, Возжеников (ред.), Региональная безопасность, с. 158-160; Гаджиев, *Геополитика Кавказа*; Михайлов (ред.), *Геополитика*, с. 205-213.

³ ისმაილოვი – პაპავა, *ცენტრალური კავკასია*, გვ. 36; Ismailov – Papava, *The Central Caucasus*, p. 11; Ismailov – Papava, *A New Concept*; Исмаилов – Папав, *Центральный Кавказ*, с. 18.

⁴ Исмаилов, *О геополитических*; Исмаилов – Кенгерли, *Интеграция Кавказа*; Исмаилов – Кенгерли, *Кавказ в*.

უშუალოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით თურქეთისა და ირანის ზემო-ჩამოთვლილი ოლქები, ისევე როგორც სომხეთი, პრაქტიკულად თანაბრად არიან დაშორებული დიდ კავკასიონს და ნაწილობრივ მცირე კავკასიონის ტერიტორიაზე მდებარეობენ.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ კავკასიის რეგიონი შედგება არა ორი ნაწილისგან (ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია), რაც რუსული გეოპოლიტიკური აზროვნების ზეგავლენით არის საერთაშორისო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული, არამედ სამი ნაწილისგან: **ცენტრალური კავკასია** – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი; **ჩრდილოეთ კავკასია**, რომელიც რუსეთის ფედერაციის კავკასიის მოსაზღვრე ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნებისგან შედგება; და **სამხრეთ კავკასია**, რომელიც მოიცავს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე თურქეთის ვილაიეთებსა (სამხრეთ-დასავლეთი კავკასია) და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსტანებს (სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია).

კავკასიის ისმიალოვისეულ კონცეპციას კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ. ისინი უმთავრესად წმინდა გეოგრაფიული მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ, როცა მიუთითებენ, რომ ტერმინი „ცენტრალური კავკასია“ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ცენტრალურ ნაწილს აღნიშნავს,¹ ხოლო ირანის აზერბაიჯანი კი სრულად არ არის მოქცეული გეოგრაფიულ კავკასიაში, მაშინ როცა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქებისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ზოგიერთი პროვინციის შეყვანა კავკასიის რეგიონში გაუმართლებელია.² სამწუხაროდ, კავკასიის ისმიალოვისეული კონცეპციის მოცემული კრიტიკის აშკარად გამოხატული სუსტი მხარეა ის, რომ ეს კრიტიკა უშუალოდ ეფუძნება კავკასიის გეოგრაფიას და საერთოდ არ ითვალისწინებს იმას, რომ მოცემული კონცეპცია არა გეოგრაფიული, არამედ გეოპოლიტიკურია, ხოლო ის, რომ გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური ხედვები თუ ტერმინები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, ეს ცნობილი ფაქტია.

უფრო მეტიც, კავკასიის ისმიალოვისეული კონცეპცია ეფუძნება რეგიონის ისტორიულ თავისებურებებს, და ამდენად სრულფასოვნად ასახავს დღეისათვის არსებულ გეოპოლიტიკურ რეალობას.³

კავკასია გეოპოლიტიკურად საკმაოდ რთული რეგიონია.⁴ არანაკლებ რთული რეგიონია ცენტრალური კავკასია, რომელშიც მთელი რეგიონის პრობლემების სრული სპექტრია თავმოყრილი.⁵

¹ Русецкий – Дорохина, «Архипелаг Кавказ», с. 69-70; Топчишвили, Кавказоведческие, с. 13.

² Топчишвили, Кавказоведческие, с. 12-13.

³ მეტრეველი, კავკასიური ცივილიზაცია.

⁴ მაგალითად, Gachechiladze, *Geopolitics in*; Yalowitz – Cornell, *The Critical but*; Метревели, *Кавказ на*.

⁵ მაგალითად, Nuriyev, *The South Caucasus*.

რეგიონში არსებული კონფლიქტების გამო კავკასიაში ინტეგრაციული პროცესები საკმაოდ შეფერხებულია.¹

ცენტრალურ კავკასიაში არის მეზობელი სახელმწიფოების მიერ ოკუპირებული სამი რეგიონი: აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი (2020 წლის შემოდგომამდე) და სამხრეთ ოსეთი. ისედაც რთული ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის შეჭრისა და რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, რასაც მსოფლიო საზოგადოებრიობამ მხარი პრაქტიკულად არ დაუჭირა.²

ცენტრალურ კავკასიაში არსებულ არასტაბილურ გარემოს ისიც ამძიმებს, რომ უშუალოდ კონფლიქტური ტერიტორიები, როგორც წესი, ტერორიზმის საყრდენია, ნარკოტრაფიკითა და ნარკოვაჭრობით დაკავებული კრიმინალების თავშესაფარია, მძევალთა გატაცებისა და ადამიანებით ვაჭრობის ზონებადაც გამოიყენება.³

საერთაშორისო ურთიერთობათა კუთხით თავიდანვე, რაც დაინგრა საბჭოთა კავშირი და ცენტრალური კავკასიის ქვეყნებმა აღიდგინეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საქართველო ორიენტირებულია დასავლეთისკენ, სომხეთი – რუსეთისკენ, ხოლო აზერბაიჯანი ცდილობს უფრო დაბალანსებულად წარმოაჩინოს ეს ორი მიმართულება.⁴ დღევანდელი მდგომარეობით საქართველომ მიაღწია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას,⁵ ხოლო სომხეთი არის რუსეთის მიერ სრულად კონტროლირებადი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი⁶, რომელიც ეკონომიკური მექანიზმებით ცდილობს შეინარჩუნოს მასში შემავალ ქვეყნებზე მოსკოვის ზეგავლენა.⁷ ყოველივე ამან ცენტრალური კავკასია გარკვეული აზრით აქცია ევროკავშირისა და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის თანაარსებობისა და კონკურენციის არენად.⁸

ცენტრალური კავკასიის ქვეყნებიდან აზერბაიჯანი გამოირჩევა იმით, რომ ის მდიდარია ნახშირწყალბადოვანი რესურსებით.⁹ ამასთან ერთად აზერბაიჯანს აქვს აშკარად გამომხატული შესაძლებლობა იყოს სატრანსპორტო ჰაბი¹⁰.

¹ მაგალითად, Чиковани, Единый Кавказ.

² ასმუსი, *მცირე ომი*.

³ Язькова, Южный Кавказ, с. 57-58

⁴ მაგალითად, Adalian, *Armenia's Foreign Policy*; Alieva, *The 1995. The Institutions*; Hovannisian, *Historical Memory*; Hovannisian, *Historical Memory*; Hunter, *The Evolution*; Jones, *The Role of*; Nodia, *The Georgian*; Rondeli, *The Choice of*.

⁵ Papava, *A Eurasian or*.

⁶ Papava, *The Central Caucasus-Asian*.

⁷ Laruelle, *Eurasia, Eurasianism*; Papava, *Economic Models*.

⁸ Анджапаридзе, *Кавказ – арена*.

⁹ მაგალითად, Алиев, *Каспийская нефть*.

¹⁰ Escudero, *Hub for*; Escudero, *Visions of*.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველო და აზერბაიჯანი ქმნიან „კავკასიურ ტანდემს“, რასაც საფუძვლად უდევს ძირითად გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ინტერესთა თანხვედრა და ამის საფუძველზე სტრატეგიული პარტნიორობა.¹ შედეგად, ეს ორი ქვეყანა ქმნის ცენტრალური კავკასიის სატრანსპორტო ჰაბს.²

სატრანსპორტო დერეფნის კუთხით საქართველოს პოზიციონირება განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც განსაზღვრავს კიდევ ცენტრალური კავკასიის ამ ქვეყნის ეკონომიკურ ფუნქციას.³

სომხეთის ჩართულობა ევროპასა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანში გამოირიცხა აზერბაიჯანთან მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო.

გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი არათუ დაინტერესებული იყო აზერბაიჯანსა და საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის განვითარებით და, კერძოდ, მის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების მშენებლობით, არამედ ყველა შესაძლო მექანიზმით აბრკოლებდა ამ პროექტების რეალიზაციას.⁴ 2008 წლის რუსეთის აგრესიამ და საქართველოს ნაწილობრივმა ოკუპაციამ ეჭვქვეშ დააყენა სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოება, რომლითაც მილსადენები გადის საქართველოს ტერიტორიაზე.⁵ საერთაშორისო თანამეგობრობის ღია მხარდაჭერამ საქართველოს გავლით ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირებისადმი ნდობა, საბედნიეროდ, შედარებით მოკლე დროში აღადგინა.⁶

რუსეთისთვის, სამწუხაროდ, სულაც არ არის ხელსაყრელი საქმე იქონიოს ცენტრალური კავკასიის ერთიან, მთლიან და სტაბილურ ქვეყნებთან,⁷ მისთვის უფრო ხელსაყრელია მაქსიმალურად არასტაბილური გარემოს შექმნა.⁸

რაც შეეხება ცენტრალურ აზიას, ის, როგორც გეოგრაფიული რეგიონი, XIX საუკუნის შუა წლებში გამოჰყო ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტმა. ცენტრალური აზიის თანამედროვე გეოპოლიტიკური კონფიგურაციის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, თუმცა ყველაზე უფრო გავრცელებულის თანახმად ის მოიცავს ხუთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას – თურქმენეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს.⁹ ამ რეგიონის მიმართ გეო-

¹ Papava, *Formation and*.

² მაგალითად, Rzayev – Huseynov, *South Caucasus Eyes*.

³ Shevardnadze, *Great Silk Route*.

⁴ Rondeli, *Pipelines and*; Tsereteli, *Beyond Georgia*.

⁵ Jones, *Clash in the Caucasus*; Mouawad, *Conflict Narrows*; Roberts, *Georgia Falls*.

⁶ Socog, *Business Confidence*.

⁷ Гаджиев, *Геополитика Кавказа*, с. 295.

⁸ Papava, *Moscow's 'Political Trap'*.

⁹ მაგალითად, Menon, *Introduction: Central*, p. 3.

პოლიტიკური კვლევები განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და ხსენებულმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა მოიპოვეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.¹

საბჭოთა პერიოდში ამ რეგიონის მიმართ გამოიყენებოდა ტერმინი „შუა აზია“, რომელიც აერთიანებდა თურქმენეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთსა და ყირგიზეთს, ხოლო ყაზახეთი, როგორც წესი, განიხილებოდა დამოუკიდებლად, ანუ შუა აზიის ფარგლებს გარეთ.² დასავლეთში გამოცემულ ლიტერატურაში გავრცელებულია ტერმინი „ცენტრალური აზია“, რომელიც საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით ამ რეგიონის შემადგენლობაში უკვე ყაზახეთსაც მოიაზრებს.

ტერმინ „ცენტრალურ აზიასთან“ ერთად სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე გამოიყენება ტერმინი „დიდი (Greater) ცენტრალური აზია“. დიდი ცენტრალური აზიის თანამედროვე, დაზუსტებული გეოპოლიტიკური განსაზღვრებით, ამ რეგიონში ზემოხსენებული ხუთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის გარდა შედის ავღანეთიც.³

ცენტრალური აზია მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით, კერძოდ, თურქმენეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მარაგია, რაც ამ რეგიონის მიმართ საინვესტიციო დაინტერესებას ზრდის⁴. რაც შეეხება ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს, ისინი მნიშვნელოვანი ჰიდრორესურსებით გამოირჩევიან.⁵

მაკინდერის „ჰართლენდის“ ცნობილი კონცეფციის⁶ თანამედროვე ინტერპრეტაციების თანახმად, ცენტრალური აზიის როლი და მნიშვნელობა განსხვავებულად ფასდება. მაგალითად, თანამედროვე რუსი ევრაზიისტების⁷ საპირწონედ, რომლებიც თვლიან, რომ „ღერძული რეგიონი“ გეოგრაფიულად რუსეთია, ზოგიერთი ექსპერტი ამ რეგიონად ცენტრალურ აზიას თვლის, ხოლო ყირგიზეთი ამ ტერიტორიის გულად, ანუ „ჰართლენდად“ მიაჩნიათ.⁸

ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე, სხვა თანაბარ პირობებში, გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ მათ მსოფლიო ოკეანეში უშუალო გასასვლელი არ აქვთ. საყურადღებოა, რომ ტვირთის ხმელეთით გადაზიდვა ერთ დამატებით კილომეტრზე უდრის იმავე ტვირთის ზღვით გადაზიდვას შვიდ დამატებით კილო-

¹ მაგალითად, Banuazizi – Weiner (eds.), *The New Geopolitics*; Ferdinand (ed.), *The New States*; Fuller, *The Emergence*.

² მაგალითად, Lewis – Wigen, *The Myth of Continents*, p. 179.

³ Starr, *A 'Greater'*, p. 16; Starr, *A Partnership*; Starr, 2008. *In Defense of*.

⁴ მაგალითად, Starr, *The Investment*.

⁵ მაგალითად, Куртов, *Проблемы обеспечения; Нуязи, Таджикистан: проблемы*.

⁶ Mackinder, *Democratic Ideals*; Mackinder, *The Geographical Pivot*; Mackinder, *The Round World*.

⁷ Dugin, *Eurasian Mission*; Дугин, *Евразийская миссия*; Дугин, *Основы геополитики*.

⁸ მაგალითად, Матикеева, *Наследие Маккиндера*.

მეტრზე, რაც ქმნის მნიშვნელოვან ეკონომიკურ სირთულეებს იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ზღვის სანაპიროდან მოშორებით მდებარეობენ.¹ ეს, თავის მხრივ, სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ თითქოსდა ცენტრალური აზია მსოფლიოს ე.წ. „ჩიხი“ იყოს. სინამდვილეში, ეს რეგიონი, რომელიც დიდი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს, პრაქტიკულად ქვეყნიერების ყველა მიმართულებით მსოფლიო მარშრუტების გზაჯვარედინს წარმოადგენს.²

როგორც ცნობილია, გეოგრაფიულად ევრაზიის კონტინენტი მსოფლიოს ორი ნაწილისგან – ევროპისგან და აზიისგან – შედგება. ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე, გეოგრაფიული ცენტრალური ევრაზია უნდა შედგებოდეს ცენტრალური ევროპისგან, ცენტრალური აზიისგან და მათი დამაკავშირებელი ცენტრალური კავკასიისგან. ფაქტობრივად ცენტრალური ევრაზიის განსაზღვრება ამ სქემისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

საყურადღებოა, რომ არსებობს სამეცნიერო საზოგადოების დაინტერესება, ერთიანობაში იყოს შესწავლილი ცენტრალური კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონები და მასში შემავალი ქვეყნების პრობლემები.³ ამ ორი რეგიონისგან შექმნილ გეოპოლიტიკურ სივრცეს, როგორც წესი, ცენტრალური ევრაზია ეწოდება.⁴ იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარად წარმოდგენილ ცენტრალურ ევრაზიაში ცენტრალურ ევროპას ადგილი არ მოეძებნა, დღის წესრიგში დადგა, როგორც ცენტრალური ევრაზიის, ისე ცენტრალური კავკასიისა და ცენტრალური აზიის ერთიან კონტექსტში ახლებური გააზრების აუცილებლობა.⁵

რეგიონი, რომელიც მოიცავს ორ ქვერეგიონს – ცენტრალურ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას, ცენტრალურ კავკასიას ვუწოდებთ⁶. ამ ტერმინში შენარჩუნებულია სიტყვა „ცენტრალური“, რომელიც საკვანძოა ორივე ქვერეგიონისათვის, ხოლო სიტყვა „კავკასია“ ნაწარმოებია ორი სიტყვის – „კავკასია“ და „აზია“ – გაერთიანებით.

მართალია, ცენტრალური კავკასია, როგორც ერთიანი რეგიონი სულაც არ არის პოლიტიკურად თუ კულტურულად ჰომოგენური, და, ამდენად, მეტ-ნაკლებად ინტეგრირებული,⁷ მაგრამ ეს სულაც არ ქმნის დაბრკოლებას იმაში, რომ ცენტრალურმა კავკასიამ შეასრულოს ე.წ. „ხიდის“ ფუნქცია, რო-

¹ Hausmann, *Prisoners of*.

² Хекимоглу, *Куда движется*.

³ მაგალითად, Bertsch – Craft – Jones – Beck (eds.), *Crossroads and*; Oliker – Szayna (eds.), *Faultlines of Conflict*; Sabahi – Warner (eds.), *The OSCE*.

⁴ მაგალითად, Amineh – Houweling, *Introduction: The Crisis*, pp. 2-3; Fairbanks – Nelson – Starr – Weisbrode, *Strategic Assessment*, p. vii; Meyer, *The Dust of*, p. 206.

⁵ ისმაილოვი – პაპავა, *ცენტრალური ევრაზია: ახლებური*; Ismailov – Papava, *Rethinking Central*.

⁶ პაპავა, *ცენტრალური კავკასია*; Papava, *Eurasia Versus*.

⁷ Weisbrode, *Central Eurasia: Prize*.

მელმაც დასავლეთისთვის გეოპოლიტიკურად დახურული ცენტრალური აზია ხელმისაწვდომი გახადა.¹

ლოგიკურად უნდა ჩაითვალოს, რომ ცენტრალური კავკაზის ქვეყნების სახელმწიფო ინტერესების ღერძად ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოპოვებული სახელმწიფო დამოუკიდებლობის განმტკიცება და განვითარება. ამ შემთხვევაში მათთვის მიუღებელია არა მარტო ევრაზიიზმი, არამედ „ჰართლენდის“ თეორიაც, რომელთა თანახმადაც ეს ქვეყნები უნდა დაექვემდებაროს, შესაბამისად, რუსეთის ან დასავლეთის იმპერიულ სქემებს.² მიუხედავად ამისა, ამ რეგიონის ზოგიერთი ქვეყანა (სომხეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი) ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირშია განეწიანებული,³ რომელიც რუსეთის ანტიდასავლური ინტერესების⁴ შესატყვის ორგანიზაციად შეიძლება იქნეს განხილული.

სამეცნიერო ბრუნვაში „ცენტრალური კავკაზის“ ცნების შემოღება არა მარტო აზუსტებს განსახილველი რეგიონის გეოპოლიტიკურ არეალს, არამედ იძლევა რეგიონის ქვეყნების სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცების ინტერესების ისეთ კონცეპტუალურ ხედვას, რომელიც ევრაზიიზმის სულისკვეთებას და იღებებს⁵ საფუძველშივე ეწინააღმდეგება.

დამოწმებული ლიტერატურა

ასმუსი, მცირე ომი = ასმუსი რ., მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა: საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

გამყრელიძე, „ტრანსკავკასია“ თუ = გამყრელიძე თ., „ტრანსკავკასია“ თუ „სამხრეთ კავკასია“? (გეოპოლიტიკური ნომენკლატურის დაზუსტებისათვის), წიგნში: თ. გამყრელიძე, ენა და ენობრივი ნიშანი, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2008, გვ. 169-171.

გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი = გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, დიოგენე, 2003.

ისმაილოვი – პაპავა, ცენტრალური ევრაზია: ახლებური = ისმაილოვი ე., პაპავა ვ., ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება, თბილისი, ინტელექტი, 2012.

¹ Эйвазов, *Безопасность Кавказа*, с. 132.

² Papava, *Central Caucaso-Asia: from.*

³ Papava, *The Central Caucaso-Asian.*

⁴ Papava, *The Eurasianism of.*

⁵ Khan, *Russia and Central*; Laruelle, *Russian Eurasianism: An*; Richardson, *Geopolitical Visions.*

- ისმაილოვი – პაპავა**, *ცენტრალური კავკასია* = ისმაილოვი ე., პაპავა ვ., *ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები*, თბილისი, დიოგენე, 2007.
- მეტრეველი**, *კავკასიური ცივილიზაცია* = მეტრეველი რ., *კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში*, თბილისი, არტანუჯი, 2007.
- პაპავა**, *ცენტრალური კავკასია* = პაპავა ვ., *ცენტრალური კავკასია (გეოპოლიტიკური ნარკვევი)*, თბილისი, სიახლე, 2009.
- Adalian**, *Armenia's Foreign Policy* = Adalian R. P., *Armenia's Foreign Policy: Defining Priorities and Coping with Conflict*, In: *The Making of Foreign Policy in Russia and The New States of Eurasia*, A. Dawisha – K. Dawisha (eds.), Armonk, M. E. Sharpe, 1995, p. 309-339.
- Alieva**, 1995. *The Institutions* = Alieva L., *The Institutions, Orientations, and Conduct of Foreign Policy in Post-Soviet Azerbaijan*, in: *The Making of Foreign Policy in Russia and The New States of Eurasia*, A. Dawisha – K. Dawisha (eds.), Armonk, M. E. Sharpe, 1995, p. 286-308.
- Amineh – Houweling**, *Introduction: The Crisis* = Amineh M. P., Houweling H., *Introduction: The Crisis in IR-Theory: Towards a Critical Geopolitics Approach*, in: *Central Eurasia in Global Politics: Conflict, Security and Development*, M. P. Amineh – H. Houweling (eds.), Leiden, Brill, 2005, p. 1-21.
- Banuazizi – Weiner (eds.)**, *The New Geopolitics* = Banuazizi A., Weiner M. (eds.), *The New Geopolitics of Central Asia and Its Borderlands*, Bloomington, Indiana University Press, 1994.
- Bertsch – Craft – Jones – Beck (eds.)**, *Crossroads and* = Bertsch G. K. , Craft C., Jones S. A., Beck M. (eds.), *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in The Caucasus and Central Asia*, New York, Routledge, 2000.
- Breyfogle**, *Heretics and Colonizers* = Breyfogle N. S., *Heretics and Colonizers: Forging Russia's Empire in the South Caucasus*, Ithaca, Cornell University Press, 2005.
- Dugin**, *Eurasian Mission* = Dugin A. G., *Eurasian Mission (Program Materials of International Eurasian Movement)*, Moscow, ROF “Evrazia”, 2005.
- Escudero**, *Hub for* = S. Escudero, *Hub for the 21st Century. Azerbaijan's Future Role in the Caspian Basin*, Azerbaijan International, No. 10.2, 2002, available at <http://www.azer.com/aiweb/categories/magazine/ai102-folder/102-articles/102-caspian-hub-escudero.html>.
- Escudero**, *Visions of* = Escudero S., *Visions of Baku. Future Hub of the Caspian*, Azerbaijan International, No. 9.3, 2001, available at <http://www.azer.com/aiweb/categories/magazine/93-folder/93-articles/93-stanley-escudero.html>.
- Fairbanks – Nelson – Starr – Weisbrode**, *Strategic Assessment* = Fairbanks C., Nelson C. R., Starr S. F., Weisbrode K., *Strategic Assessment of Central Eurasia*, Washington, D.C., The Atlantic Council of The United States, Central Asia–Caucasus Institute, Johns Hopkins University, 2001.
- Ferdinand (ed.)**, *The New States* = Ferdinand, Peter, ed., *The New States of Central Asia and Their Neighbours*, New York, Council of Foreign Relations Press, 1994.
- Fuller**, *The Emergence* = Fuller G. E., *The Emergence of Central Asia, Foreign Policy*, No. 78, Spring (1990), p. 49-67.

- Gachechiladze**, *Geopolitics in* = Gachechiladze R., *Geopolitics in the South Caucasus: Local and External Players*, *Geopolitics*, Vol. 17, No. 1 (2002), 113-138.
- Hausmann**, *Prisoners of* = Hausmann R., *Prisoners of Geography, Foreign Policy*, No. 122 (2001), p. 44-53.
- Hovannisian**, *Historical Memory* = Hovannisian R. G., *Historical Memory and Foreign Relations: The Armenian Perspective*, in: *The Legacy of History in Russia and the New States of Eurasia*, S. F. Starr (ed.), Armonk, M. E. Sharpe, 1994, p. 237-276.
- Hunter**, Shireen T., 2000. *The Evolution* = Hunter, Shireen T., 2000. *The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States*, in: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in The Caucasus and Central Asia*, G.y K. Bertsch – C. Craft – S. A. Jones – M. Beck (eds.), New York, Routledge, p. 25-47.
- Ismailov – Papava**, *A New Concept* = Ismailov E., Papava V., *A New Concept for the Caucasus*, *Southeast European and Black Sea Studies*, Vol. 8, No. 3 (2008), p. 283-298.
- Ismailov – Papava**, *Rethinking Central* = Ismailov E., Papava V., *Rethinking Central Eurasia*, Washington, D.C., available at <https://www.silkroadstudies.org/resources/pdf/Monographs/2010-MONO-Ismailov-Papava-Rethinking-Central-Eurasia.pdf>.
- Ismailov – Papava**, *The Central Caucasus* = Ismailov E., Papava V., *The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy*, Stockholm, CA&CC Press, 2006.
- Jersild**, *Orientalism and Empire* = Jersild A., *Orientalism and Empire: North Caucasus Mountain Peoples and the Georgian Frontier, 1845-1917*, Montreal & Kingston, McGill-Queen's University Press, 2002.
- Jones**, *Clash in the Caucasus* = Jones S., *Clash in the Caucasus: Georgia, Russia, and the Fate of South Ossetia*, *Origins: Current Events in Historical Perspective*, Vol. 2, Issue 2 (2008), available at <http://origins.osu.edu/article/clash-caucasus-georgia-russia-and-fate-south-ossetia/>.
- Jones**, *The Role of* = Jones S., *The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy*, *The Journal of Communist Studies and Transition Politics*, Vol. 19, No. 3 (2003), p. 83-110.
- Khan**, *Russia and Central* = Khan H., *Russia and Central Asia: The Eurasian Orientation of Development*, *Journal of European Studies*, Vol. 35, No. 1 (2019), p. 1-23, available at <https://ojs.asce-uok.edu.pk/index.php/JES/article/view/78/80>.
- King**, *The Ghost of Freedom* = King C., *The Ghost of Freedom: A History of the Caucasus*. New York, Oxford University Press, 2008.
- Laruelle**, *Eurasia, Eurasianism* = Laruelle M., *Eurasia, Eurasianism, Eurasian Union: Terminological Gaps and Overlaps*, PONARS Eurasia Policy Memo, No. 366, July (2015), available at www.ponarseurasia.org/sites/default/files/policy-memos-pdf/Peppm366-Laruelle-July2015.pdf.
- Laruelle**, *Russian Eurasianism: An* = Laruelle M., *Russian Eurasianism: An Ideology of Empire*, Washington, D.C., Woodrow Wilson Center Press, 2008.
- Lewis – Wigen**, *The Myth of Continents* = Lewis M. W., Wigen K. E., *The Myth of Continents: A Critique of Metageography*, Berkeley, University of California Press, 1997.
- Mackinder**, *Democratic Ideals* = Mackinder H. J., *Democratic Ideals and Reality: a Study of the Politics of Reconstruction*, London, Constable, 1919.

- Mackinder**, *The Geographical Pivot* = Mackinder H. J., *The Geographical Pivot of History*, Geographical Journal, Vol. XXIII., No. 4, April (1904), p. 421-444.
- Mackinder**, *The Round World* = Mackinder H. J., *The Round World and the Winning of the Peace*, Foreign Affairs, Vol. 21, No. 4 (1943), p. 595-605.
- Menon**, *Introduction: Central* = Menon R., *Introduction: Central Asia in the Twenty-First Century*, In: *Central Asia: Views from Washington, Moscow, and Beijing*, E. Rumer – D. Trenin – Z. Huasheng (eds.), Armonk, M.E. Sharpe, 2007, p. 3-17.
- Meyer**, *The Dust of* = Meyer K., *The Dust of Empire: The Race for Supremacy in the Asian Heartland*, London, Abacus, 2004.
- Mouawad**, *Conflict Narrows* = Mouawad J., *Conflict Narrows Oil Options for West*, The New York Times, August 13 (2008), available at <http://www.nytimes.com/2008/08/14/world/europe/14oil.html>.
- Nodia**, *The Georgian* = Nodia G., *The Georgian Perception of the West*, in: *Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia*, B. Coppeters – A. Zverev – D. Trenin (eds.), London, Frank Cass Publishers, 1998, p. 12-43.
- Nuriyev**, *The South Caucasus* = Nuriyev E., *The South Caucasus at the Crossroads: Conflicts, Caspian Oil and Great Power Politics*, Berlin, LIT, 2007.
- Oliker – Szayna (eds.)**, *Faultlines of Conflict* = Oliker O., Szayna T. S. (eds.), *Faultlines of Conflict in Central Asia and the South Caucasus: Implications for the U.S. Army*, Santa Monica, RAND, 2003.
- Papava**, *A Eurasian or* = Papava V., *A Eurasian or a European Future for Post-Soviet Georgia's Economic Development: Which is better?*, Archives of Business Research, Vol. 5, No. 1 (2017), p. 159-170, available at <https://journals.scholarpublishing.org/index.php/ABR/article/view/2651/1554>.
- Papava**, *Central Caucaso-Asia: from* = Papava V., *Central Caucaso-Asia: from Imperial to Democratic Geopolitics*, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 4, No. 1 (2010), p. 183-187, available at <http://science.org.ge/old/moambe/4-1/Papava.pdf>.
- Papava**, *Economic Models* = Papava V., *Economic Models of Eurasianism and the Eurasian Union: Why the Future Is Not Optimistic*, The Central Asia-Caucasus Analyst, October 29 (2015), available at <http://cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13296>.
- Papava**, *Eurasia Versus* = Papava V., *Eurasia Versus Central Caucaso-Asia: On the Geopolitics of Central Caucaso-Asia*, CICERO Foundation Great Debate Paper No. 09/8, December, 2009, available <https://www.cicerofoundation.org/wp-content/uploads/Vladimer-Papava-On-the-Geopolitics-of-Central-Caucaso-Asia.pdf>.
- Papava**, *Formation and* = Papava V., *Formation and Development of the "Caucasian Tandem"*, Azerbaijan Focus, Vol. 1 (1), June-August (2009), p. 83-91.
- Papava**, *Moscow's 'Political Trap'* = Papava V., *Moscow's 'Political Trap' For Georgia: 'Stable Instability'*, Eurasia Review, Journal of Analysis and News, March 10 (2020), available at <https://www.eurasiareview.com/10032020-moscows-political-trap-for-georgia-stable-instability-oped/>.

- Papava**, *The Central Caucasus-Asian* = Papava V., *The Central Caucasus-Asian Countries and the Prospects of Accession to the Eurasian Economic Union*, Central Asia and the Caucasus, Vol. 20, Issue 2 (2019), p. 16-23.
- Papava**, *The Eurasianism of* = Papava V., *The Eurasianism of Russian Anti-Westernism and the Concept of "Central Caucasus-Asia"*, Russian Politics and Law, Vol. 51, No. 6 (2013), p. 45-86.
- Richardson**, *Geopolitical Visions* = Richardson P. B., *Geopolitical Visions, Globalisation, and the Remaking of Russia's Eurasian Borders*, Journal of Borderlands Studies, Vol. 32, No. 1 (2017), p. 7-21.
- Roberts**, *Georgia Falls* = Roberts J., *Georgia Falls Victim to Pipeline Politics*, BBC News, August 12 (2008), available at <http://news.bbc.co.uk/2/hi/business/7557049.stm>.
- Rondeli**, *The Choice of* = Rondeli A., *The Choice of Independent Georgia*, in: *The Security of the Caspian Sea Region*, G. Chufrin (ed.), New York, Oxford University Press, 2001, p. 195-211.
- Rondeli**, *Pipelines and* = Rondeli A., *Pipelines and Security Dynamics in the Caucasus*, Insight Turkey, Vol. 4, No 1 (2002), p. 13-17.
- Rzayev – Huseynov**, *South Caucasus Eyes* = Rzayev A., Huseynov V., *South Caucasus Eyes Becoming a Hub Along EU–China Transportation Route*, The Jamestown Foundation Eurasia Daily Monitor, Vol. 15, Issue 158, November 6, (2018), available at <https://jamestown.org/program/south-caucasus-eyes-becoming-a-hub-along-eu-china-transportation-route/>.
- Sabahi – Warner (eds.)**, *The OSCE* = Sabahi F., Warner D. (eds.), *The OSCE and the Multiple Challenges of Transition: The Caucasus and Central Asia*, Aldershot, Ashgate, 2004.
- Shevardnadze**, *Great Silk Route* = Shevardnadze E., *Great Silk Route. TRACECA-PETRA. Transport Corridor Europe-Caucasus-Asia. The Eurasian Common Market. Political and Economic Aspects*, Tbilisi, Georgian Transport System, 1999.
- Socor**, *Business Confidence* = Socor V., *Business Confidence Returning to the South Caucasus Transport Corridor*, The Jamestown Foundation Eurasia Daily Monitor, Vol. 5, No. 186, September 29 (2008), available at <http://www.jamestown.org/single/?no-cache=1&tx-ttnews-%5Btt-news%5D=33978>.
- Starr**, *A'Greater* = Starr S. F., *A'Greater Central Asia Partnership' for Afghanistan and Its Neighbors*, Silk Road Paper, March, 2005, Washington, D.C., Central Asia-Caucasus Institute, Johns Hopkins University-SAIS, 2005, available at <https://www.silkroadstudies.org/resources/pdf/SilkRoadPapers/2005-starr-a-greater-central-asia-partnership.pdf>.
- Starr**, *A Partnership* = Starr S. F., *A Partnership for Central Asia*, Foreign Affairs, Vol. 84, No. 4 (2005), p. 164-178.
- Starr**, 2008. *In Defense of* = Starr S. F., *In Defense of Greater Central Asia*, Policy Paper, September, 2008, Washington, D.C., Central Asia-Caucasus Institute, Johns Hopkins University-SAIS, 2008, available at <https://www.silkroadstudies.org/publications/silk-road-papers-and-monographs/item/13081-in-defense-of-greater-central-asia.html>.
- Starr**, *The Investment* = Starr S. F., *The Investment Climate in Central Asia and the Caucasus*, in: *Russian-Eurasian Renaissance? U.S. Trade and Investment in Russia and Eurasia*, J. H.

- Kalicki – E. K. Lawson (eds.), Washington, D.C., Woodrow Wilson Center Press, 2003, p. 73-91.
- Tsereteli**, *Beyond Georgia* = Tsereteli M., *Beyond Georgia: Russia's Strategic Interests in Eurasia*, Central Asia-Caucasus Institute Analyst, June 11 (2008), available at <https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/11643-analytical-articles-caci-analyst-2008-6-11-art-11643.html>.
- Weisbrode**, *Central Eurasia: Prize* = Weisbrode K., *Central Eurasia: Prize or Quicksand? Contenting Views of Instability in Karabakh, Ferghana and Afghanistan*, The International Institute for Strategic Studies, Adelphi Paper 338, New York, Oxford University Press, 2001.
- Yalowitz – Cornell**, *The Critical but* = Yalowitz K. S., Cornell S., *The Critical but Perilous Caucasus*, Orbis, A Journal of World Affairs, Vol. 48, No. 1 (2004), p. 105-116.
- Алиев**, *Каспийская нефть* = Алиев И., *Каспийская нефть Азербайджана*, Москва, «Известия», 2003.
- Анджапаридзе**, *Кавказ – арена* = Анджапаридзе З., *Кавказ – арена сосуществования и конкуренции ЕАЭС и ЕС*, Ритм Евразии, 22 июня (2020), на сайте <https://www.ritm-eurasia.org/news--2020-06-22--kavkaz-arena-sosuschestvovaniya-i-konkurencii-eaes-i-es-49591>.
- Возжеников (ред.)**, Региональная безопасность = Возжеников А. В. (ред.), Региональная безопасность, Москва, Издательство РАГС, 2006.
- Гаджиев**, *Геополитика Кавказа* = Гаджиев К. С., *Геополитика Кавказа*, Москва, «Международные отношения», 2003.
- Гамкрелидзе**, «Закавказье» или = Гамкрелидзе Т. В., «Закавказье» или «Южный Кавказ»? К уточнению геополитической номенклатуры, в кн.: *Посткоммунистические демократические преобразования и геополитика на Южном Кавказе, Материалы конференции 17-18 октября 1997 г.*, В. Кешелава (ред.), Тбилиси, «Мецниереба», 1998, с. 37-39.
- Дугин**, *Евразийская миссия* = Дугин А., *Евразийская миссия Нурсултана Назарбаева*, Санкт-Петербург, Евразия, 2004.
- Дугин**, *Основы геополитики* = Дугин А., *Основы геополитики. Геополитическое будущее России*, Москва, «Арктогея», 1997.
- Исмаилов**, *О геополитических* = Исмаилов Э., 2002. *О геополитических предпосылках экономической интеграции Центрального Кавказа*, Известия АН Грузии – серия экономическая, Т. 10, № 3-4 (2002), сс. 123-148.
- Исмаилов – Кенгерли**, *Интеграция Кавказа* = Исмаилов Э., Кенгерли З., *Интеграция Кавказа и современные геоэкономические процессы*, Известия Национальной Академии Наук Азербайджана, Серия гуманитарных и общественных наук (экономика), No. 1 (2002), с. 24-48.
- Исмаилов – Кенгерли**, *Кавказ в* = Исмаилов Э., Кенгерли З., *Кавказ в глобализирующемся мире: новая модель интеграции*, Центральная Азия и Кавказ, № 2 (26) (2003), с. 157-166.
- Исмаилов – Папава**, *Центральный Кавказ* = Исмаилов Э., Папава В., *Центральный Кавказ: от геополитики к геоэкономике*, Стокгольм, SA&CC Press, 2006.

- Куртов**, *Проблемы обеспечения* = Куртов А., *Проблемы обеспечения водой государств Центральной Азии: позиция Кыргызстана, Центральная Азия и Кавказ*, № 6 (36) (2004), с. 130-140.
- Матикеева**, *Наследие Маккиндера* = Матикеева С., *Наследие Маккиндера: пророчество или?.. Центральная Азия и Кавказ*, № 4 (40) (2005), с. 28-33.
- Метревели**, *Кавказ на* = Метревели Р., *Кавказ на рубеже тысячелетий*, *Caucasica, The Journal of Caucasian Studies*, Vol. 4 (2001), p. 81-86.
- Михайлов (ред.)**, *Геополитика* = Михайлов В. А. (ред.), *Геополитика*, Москва, Издательство РАГС, 2007.
- Ниязи**, *Таджикистан: проблемы* = Ниязи А., *Таджикистан: проблемы использования водноэнергетических ресурсов, Центральная Азия и Кавказ*, № 4 (28) (2003), с. 123-132.
- Русецкий – Дорохина**, *«Архипелаг Кавказ»* = Русецкий А., Дорохина О., *«Архипелаг Кавказ» – мифы и реал-политик*, Тбилиси, Friedrich Ebert Stiftung, 2009.
- Топчишвили**, *Кавказоведческие исследования* = Топчишвили Р., *Кавказоведческие исследования*, Тбилиси, Издательство «Универсал», 2011.
- Хекимоглу**, *Куда движется* = Хекимоглу Л., *Куда движется «Хартленд»? Центральная Азия, география, глобализация, Центральная Азия и Кавказ*, № 4 (40) (2005), с. 79-97.
- Чиковани**, *Единый Кавказ* = Чиковани Н., *Единый Кавказ: исторически обусловленная реальность или политические иллюзии? Центральная Азия и Кавказ*, № 5 (41) (2005), с. 52-63.
- Эйвазов**, *Безопасность Кавказа* = Эйвазов Д., *Безопасность Кавказа и стабильность развития Азербайджанской Республики*, Баку, Нурлан, 2004.
- Язькова**, *Южный Кавказ* = Язькова А., *Южный Кавказ: уравнение со многими неизвестными*, *Вестник аналитики*, № 2 (20) (2005), с. 57-67.

Vladimer Papava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

FROM THE “CENTRAL CAUCASUS” TO THE “CENTRAL CAUCASO-ASIA” (Geopolitical Dimensions)

Summary

The contemporary geopolitical interpretation of the term the “Caucasus” dates to when Russia conquered the region. Russia’s presence coined the terms “Trans-Caucasus” or “Trans-caucasia” alluding to the region beyond the main Caucasian mountain range if viewed from Russia and the “North Caucasus,” referring to the territory to the north of the mountain range. The Russian tradition dominated the international practice of identifying the region.

Early in the 1990s, when the Soviet Union disappeared and the three republics – Arme-

nia, Azerbaijan and Georgia – regained their independence, the term “Trans-Caucasus” was replaced by a more correct term of the “South Caucasus.” Russia alone continued using the old term. Few academics stop to ponder significantly on the fact that the term of the “South Caucasus” (as well as the “Trans-Caucasus”) reflects the purely Russian geopolitical approach to the region. The terms of the “Northern Caucasus” and the “Southern Caucasus” perpetuate the new, and the old, Russian borders in the region.

According to Eldar Ismailov, the Caucasus consists not only of Azerbaijan, Armenia, Georgia and the Russian Federation entities but it also covers the northeastern Turkish areas and the northwestern parts of Iran. This division is based on the fact that the Turkish and Iranian regions have been populated by Caucasian peoples from time immemorial. The Caucasian region consists not of two (the Northern and Southern Caucasus) parts but of three parts: the Central Caucasus (made up of three independent states – Armenia, Azerbaijan, and Georgia), the Northern Caucasus (made up of the Russian Federation’s autonomous units bordering the Caucasus) and the Southern Caucasus which covers the Turkish provinces bordering Armenia, Azerbaijan and Georgia (the Southwestern Caucasus) and northwestern ostanha of Iran (the southeastern Caucasus).

Academic circles are presently showing a great interest in studying the problems of the three Central Caucasian countries (Armenia, Azerbaijan, and Georgia) and the five Central Asian countries (Kazakhstan, Kyrgyzstan, Tajikistan, Turkmenistan and Uzbekistan) within the same context. The region represented by these eight states is now called Central Eurasia.

If we proceed from the notion that the eight republics discussed here form two sub-regions—the Central Caucasus and Central Asia—the larger region, which simultaneously includes both sub-regions, can be called Central Caucaso-Asia. This preserves the term “Central” as the key determinant for both regions while the new term, “Caucaso-Asia,” is derived from two related terms; namely, “Caucasus” and “Asia.”

The idea of post-Soviet state independence and its strengthening, as the linchpin of state interests for the Central Caucaso-Asian states, rules out their acceptance not only of Eurasianism but also of the Heartland theory. They both assert their subordination to the imperial schemes of Russia and the West.